



კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	
	ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	
	Bachelor's Program in Psychology

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	
	ბაკალავრიატი

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	
	აკადემიური პროგრამა

სწავლების ენა	
	საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
ქართულად:	ფსიქოლოგიის ბაკალავრი (0707) – 240 კრედიტი. პროგრამა იძლევა საშუალებას იმისას, რომ სურვილის შემთხვევაში სტუდენტმა 180 კრედიტის დაგროვების შემდეგ მიიღოს დამატებითი სპეციალობა (Minor) – 60 კრედიტის ფარგლებში.
ინგლისურად:	Bachelor of Psychology (0707)

საბაკალავრო პროგრამის დამტკიცების და განახლების თარიღი	დამტკიცებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის მიერ 2012 წლის 20 ნოემბრის №01/01-33 ბრძანებით; განახლებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2013 წლის 27 აპრილის ბრძანებით 01/01-13, 2013 წლის 18 სექტემბრის #07/01-02 ბრძანებით, 2013 წლის 25 ოქტომბრის ბრძანებით #01/01-27, 2014 წლის 30 დეკემბრის ბრძანებით #01/01-104, 2015 წლის 31 ივლისის ბრძანებით #01/01-20. 2016 წლის 17 თებერვლის ბრძანებით #01/01-04, 2016 წლის 3 სექტემბრის ბრძანებით #01/01-34, 2017 წლის 17
--	--

	თებერვლის ბრძანებით #01/01-03, 2017 წლის 3 მაისის ბრძანებით №01/01-15.
--	--

--	--

საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელები	<i>ზურაბ ბიგვაჯა, ელენე ჩომახიძე</i>
---	--------------------------------------

	ინფორმაცია იხ. პროგრამის ხელმძღვანელების CV
--	---

პროგრამის მოცულობა კრედიტებით	
--------------------------------------	--

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, სემესტრში – 30 ECTS კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა ჰუმანიტარული სკოლის სტუდენტებისთვის 4 წელს შეადგენს. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. ერთი სემესტრი მოიცავს 19 სასწავლო კვირას, შესაბამისად, სასწავლო წელი დაგეგმილია 38 კვირაზე. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 კრ. საათს, რაც მოიცავს როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და საბოლოო შეფასებისათვის, აგრეთვე საშინაო დავალების მომზადებისა და პრეზენტაციისათვის განკუთვნილ კრ. საათს).

ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის 180 ECTS კრედიტი (75%) ეთმობა პროფესიისათვის აუცილებელ კომპეტენციათა გამოიმუშავებას, მათ შორის 125 ECTS კრედიტი – სპეციალობის სავალდებულო საგნებს, 30 ECTS კრედიტი – უცხო ენის (ინგლისური ენა) მოდულს, 25 ECTS კრედიტი – ზოგადსაუნივერსიტეტო საგნებს.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა იძლევა საშუალებას, რომ:

ა. ამ პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული 240 ECTS კრედიტიდან 180 ECTS კრედიტის დაგროვების შემდეგ მიენიჭოს „ფსიქოლოგიის ბაკალავრის“ შუალედური კვალიფიკაცია.

ბ. ამ პროგრამაზე ჩარიცხულმა სტუდენტმა ფსიქოლოგიის პროგრამის არჩევითი საგნების სამი მოდულიდან აირჩიოს ნებისმიერი საგნები, რითაც გაიღრმავებს ცოდნას საკუთარი ინტერესების შესაბამისად, ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რის საფუძველზეც მას მიენიჭება კვალიფიკაცია სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი ფსიქოლოგიაში.

გ. ამ პროგრამაზე ჩარიცხულმა სტუდენტმა სწავლების მეოთხე წელს აირჩიოს და სწავლა განაგრძოს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლასა და სახელმწიფო მართვის სკოლაში მოქმედ ნებისმიერ Minor დამატებითი სპეციალობის პროგრამაზე, 60 ECTS კრედიტის ფარგლებში.

დ. ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ასევე უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლისა და სახელმწიფო მართვის სკოლის **სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს** აძლევს საშუალებას იმისას, რომ დამამთავრებელ მეთოხე ეტაპზე სწავლა განაგრძოს უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის Minor დამატებითი სპეციალობის პროგრამაზე – დამატებითი სპეციალობის მისაღებად, 60 ECTS კრედიტის ფარგლებში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	
---------------------------------------	--

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩაირიცხა კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარული სკოლის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

საბაკალავრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

საბაკალავრო პროგრამის მიზანი

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია განათლების პირველი საფეხურის სტანდარტების შესაბამისი ფსიქოლოგიის ბაკალავრის ან/და ფსიქოლოგიის დამატებითი სპეციალობის მქონე სპეციალისტის მომზადება, რომლის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტის მიერ საბაზო თეორიული ცოდნის დაუფლებას ფსიქოლოგიის დარგების ძირითად დისციპლინებში, აგრეთვე შესაბამისი უნარ-ჩვევების შემუშავებას.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს შემდეგს:

- უზრუნველყოს როგორც დარგობრივი თეორიული ცოდნის ათვისება და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შემუშავება, ისე ზოგადი უნარების განვითარება;
- მისცეს სტუდენტს საჭირო ცოდნა და უნარ-ჩვევები შემდგომ საფეხურებზე სწავლის გასაგრძელებლად;
- უზრუნველყოს სტუდენტის პიროვნული განვითარება და ჩართულობა სასწავლო-სამეცნიერო პროცესსა და საზოგადოებრივ საქმიანობაში – სხვადასხვა პროექტში, კვლევაში და სხვ. მონაწილეობის გზით;
- ხელი შეუწყოს სტუდენტის მოქალაქეობრივი და დემოკრატიული თვითშეგნების განვითარებას – პროგრამის განვითარების პროცესში აქტიური მონაწილეობის გზით;
- დაამყაროს მჭიდრო თანამშრომლობა საწარმოებთან, სამეცნიერო კვლევით ცენტრებსა და ყველა პოტენციურ დამქირავებელთან და ამით ხელი შეუწყოს დასაქმების ზრდასა და უნივერსიტეტის თანამონაწილეობას ცოდნის სამკუთხედის – კვლევა, განათლება და ინოვაცია – განვითარებაში.

თანამედროვე საზოგადოებაში ტექნოლოგიების სწრაფი განვითარებისა და საქმიანი ცხოვრების რითმის ინტენსივობის ზრდის ფონზე სულ უფრო აქტუალური ხდება ფსიქოლოგიის პროფესია. ეს განსაკუთრებით იგრძნობა სკოლებში, სპეციალური დანიშნულების დაწესებულებებში, ჯანდაცვის სფეროში, სარეკლამო და PR ინდუსტრიაში; ამკარად აღინიშნება მოთხოვნა ფსიქოლოგიურ კონსულტაციებზეც. გასათვალისწინებელია ისიც, რომ შეუძლებელია განათლების სისტემის, განსაკუთრებით სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიის, განვითარება ფსიქოლოგიის მეცნიერების მიღწევათა გათვალისწინების გარეშე.

ფართო გაგებით ფსიქოლოგია არის მეცნიერება ფსიქიკის განვითარებისა და ფუნქციონირების კანონზომიერებათა შესახებ. ფსიქოლოგიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ის განიხილება, როგორც ემპირიული მეცნიერება, რომლის მიზანია ადამიანის თუ ადამიანთა ჯგუფების ქცევის აღწერა, მიზეზების, შედეგების შესწავლა, სათანადო პროგნოზის გაკეთება და შეძენილი ცოდნის გამოყენება ყველა იმ სფეროში, სადაც ეს ინფორმაცია ღირებულია. შესაბამისად, ფსიქოლოგიური კვლევის შედეგები ფართოდ გამოიყენება განათლებაში, ჯანდაცვის სფეროში, ეკონომიკაში, ბიზნესში, პოლიტიკაში და ა.შ.

აქედან გამომდინარე, ბაკალავრი-ფსიქოლოგის პროფესიული საქმიანობის სფერო მოიცავს კომპლექსური ამოცანების გააზრებას, ანალიზს, შეფასებასა და გადაწყვეტას განათლების, ჯანდაცვის, მართვის, მოსახლეობის სოციალური დახმარების სფეროში, აგრეთვე საზოგადოებრივ და სამეურნეო ორგანიზაციებში, ადმინისტრაციულ ორგანოებში, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებსა და ფიზიკური თუ იურიდიული პირებისათვის ფსიქოლოგიური მომსახურებით დაკავებულ კონსალტინგურ ორგანიზაციებში.

ბაკალავრი-ფსიქოლოგის პროფესიული საქმიანობის ობიექტებია ფსიქიკური

	<p>პროცესები, ადამიანის ნიშან-თვისებები და მდგომარეობა, მათი სხვადასხვა სახის გამოვლენა ადამიანის საქმიანობაში, პიროვნებათშორის და სოციალურ ურთიერთქმედებაში ინდივიდის, ჯგუფის, საზოგადოების დონეზე, აგრეთვე მათი ორგანიზების, შეცვლის თუ მათზე ზემოქმედების ხერხები და ფორმები.</p> <p>ბაკალავრი-ფსიქოლოგის პროფესიული საქმიანობა შემდეგ სახეობებს მოიცავს: პრაქტიკული, პედაგოგიური, ორგანიზაციულ-მმართველობითი.</p> <p>თანამედროვე ფსიქოლოგია მრავალ ქვედარგს აერთიანებს. მაგრამ არსებობს საბაზისო თეორიული ცოდნა, რომელიც სავალდებულოა ამ სპეციალობის ასათვისებლად და ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად. სახელდობრ, პროგრამით გათვალისწინებულია ფსიქოლოგიის სფეროში საბაზისო ცოდნის შეძენა, რომელიც მოიცავს:</p> <ul style="list-style-type: none"> - ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების, განვითარების ისტორიას; - კვლევის მეთოდებს; - ფსიქოლოგიის ძირითად თეორიებს; - ფსიქოლოგიის ძირითად დარგებს (სოციალური, პიროვნების, განვითარების, განათლების, კლინიკური და სხვ.) <p>უნარ-ჩვევების თვალსაზრისით პროგრამაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეთმობა პრაქტიკული პროექტების დაგეგმვის, განხორციელებისა და დამუშავება-შეფასების უნარის შემუშავება-განვითარებას. ფსიქოლოგიის განვითარების ტემპისა და მიმართულების გათვალისწინებით პროგრამა მიზნად ისახავს ისეთი სპეციალისტის მომზადებას, რომელსაც შეუძლია პროფესიული ცოდნის დამოუკიდებლად შეძენა და გაღრმავება.</p> <p>პროგრამით გათვალისწინებულია გაღრმავებული სწავლების (კონცენტრაციის) შესაძლებლობა სამი მიმართულებით: კლინიკური ფსიქოლოგია; ადამიანური რესურსების მართვა; გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია.</p>
<p>საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგი</p>	<p>სტუდენტი კურსის გავლის შემდეგ შეძლებს გამოავლინოს შემდეგი უნარები:</p> <p>ცოდნა და გაცნობიერება</p> <p>კურსდამთავრებულს აქვს ფსიქოლოგიის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, ის აცნობიერებს თავისი პროფესიის არსსა და სოციალურ მნიშვნელობას, ფსიქოლოგიის პროფესიული საქმიანობის მიზნებსა და ძირითად ფუნქციებს.</p> <p>კურსდამთავრებულს შეუძლია ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების, საგნისა და ამოცანების დახასიათება;</p> <p>აქვს ცოდნა ფსიქოლოგიის სხვადასხვა დარგის შესახებ;</p> <p>იცნობს ფსიქოლოგიის ძირითად ცნებებს, თეორიულ მიდგომებსა და ემპირიულ აღმოჩენებს;</p> <p>იცის ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბების ისტორია; იცნობს ფსიქოლოგიური კვლევის ძირითად მეთოდებს;</p> <p>შეუძლია კვლევის მონაცემების სტატისტიკური დამუშავება ბაზისურ დონეზე, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს.</p> <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი –</p> <p>კურსდამთავრებულს შეუძლია ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება;</p> <p>კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, ხელმძღვანელობით/რეკომენდაციებით კვლევის ჩატარება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;</p> <p>კურსდამთავრებულს შეუძლია საბაზისო დონეზე თეორიული თუ ემპირიული/ექსპერიმენტული კვლევითი პროექტის სხვადასხვა კომპონენტის დამოუკიდებ-</p>

ლად დაგეგმვა და განხორციელება, კვლევის პროცესში წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირება და ხელმძღვანელობით/რეკომენდაციებით მათი გადაჭრა, ფსიქოლოგიური პრინციპების გამოყენება სხვადასხვა საკითხების (პიროვნული, სოციალური თუ ორგანიზაციული) მიმართ;

კურსდამთავრებული იცავს ფსიქოლოგიური ეთიკის სტანდარტებს კვლევის დაგეგმვის, განხორციელების, მონაცემთა ბაზის შექმნისა და კვლევითი ანგარიშის წარმოდგენისას.

საბაზისო და სპეციალური მომზადების (გაღრმავებული სწავლების) შედეგად კურსდამთავრებული შეძლებს დიაგნოსტიკური, საექსპერტო, კორექციული, პროფილაქტიკური, სარეაბილიტაციო, სამეცნიერო-კვლევითი, კულტურულ-საგამანათლებლო, სასწავლო-აღზრდელობითი პროფესიული საქმიანობის განხორციელებას განათლების, ჯანდაცვის, მართვის, წარმოებისა და ბიზნესის, აგრეთვე მოსახლეობის სოციალური დახმარების სფეროში.

დასკვნის უნარი – კურსდამთავრებულს შეუძლია რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;

უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; კურსდამთავრებულს აქვს ფსიქოლოგიური ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის უნარი, შეუძლია ერთი და იგივე მოვლენის, ფენომენის თუ კონცეფციის სხვადასხვა (თეორიული თუ დარგობრივი) კუთხიდან დანახვა – გაანალიზება, ინფორმაციის შემადგენელ ნაწილებად დაშლა და დასმული ამოცანის (პრობლემის) შესაბამისი სინთეზი;

შეუძლია ფსიქოლოგიური პრინციპების გამოყენება სხვადასხვა საკითხის (პიროვნული, სოციალური თუ ორგანიზაციული) მიმართ;

აქვს პრობლემის გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი, შეუძლია დასმული პრობლემის გადასაწყვეტად სხვადასხვა წყაროდან (ბიბლიოთეკა, ინტერნეტ-რესურსები) შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება;

კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია საკუთარი მოსაზრებების თანამიმდევრულად და არგუმენტირებულად ჩამოყალიბება აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გამოყენებით;

შეუძლია გამართული მეტყველება და წერა, საკუთარი თუ სხვისი აზრის მკაფიოდ და ნათლად გადმოცემა როგორც ზეპირი, ისე წერილი ფორმით, მასალის ძირითადი აზრის გაგება და მოკლე შინაარსის დამახინჯების გარეშე გადმოცემა;

კურსდამთავრებულს აქვს ფსიქოლოგიურ ლიტერატურაზე მუშაობის ჩვევა, რაც გამოიხატება პრობლემის თუ ამოცანის შესატყვისი ინფორმაციის გამოყოფაში, დამუშავებასა და კლასიფიცირებაში, შენახვასა და ადეკვატურ გადმოცემაში;

მას შეუძლია მონაწილეობის მიღება ფსიქოლოგიურ თემებისადმი მიძღვნილ დისკუსიებში, კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, პროფესიულ საზოგადოებასთან მოლაპარაკების წარმოება და თავისი მოსაზრებებისა თუ შეხედულებების მკაფიოდ ჩამოყალიბება-დაფიქსირება.

სწავლის უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებათა გაცნობიერება და ამ პროცესის სტრატეგიულად დაგეგმვა;

კურსდამთავრებულს აქვს უნარი თავად დაგეგმოს და შეასრულოს სასწავლო პროცესის მოთხოვნები, ადეკვატურად შეაფასოს სწავლის პროცესი; შეუძლია პრობლემის

	<p>გადაჭრა, გადაწყვეტილების მიღება;</p> <p>ამა თუ იმ მიმართულებით დამოუკიდებლად და ინდივიდუალურად საკუთარი მოსაზრების ჩამოყალიბება;</p> <p>მის წინაშე არსებული პრობლემის ღრმა და საფუძვლიანი გააზრება და მისი დაძლევა-გადალახვის ქმედითი ღონისძიებების დასახვა და განხორციელება.</p> <p>ჯგუფის დანარჩენი წევრების კომპეტენციისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით სათანადო სამუშაოს დაგეგმვა და განხორციელება;</p> <p>საკუთარი სწავლისა და პროფესიული -განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავება.</p> <p>აქვს სწავლის, პრაქტიკული პროექტის შემუშავებისა და დამოუკიდებლად მუშაობის უნარი.</p> <p>ღირებულებები</p> <p>კურსდამთავრებულს შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.</p> <p>პროფესიული ეთიკის სტანდარტების – ჰუმანიზმი, მიუკერძოებლობა, კონფიდენციალობის დაცვა, ტოლერანტობა, პროფესიული კეთილსინდისიერება და სხვ. – დაცვა, ჯამრთელი ცხოვრების წესის დამკვიდრებაში მონაწილეობა.</p>
<p>დასაქმების სფეროები</p>	<p>ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა სტუდენტს საშუალებას აძლევს პროგრამის დასრულებამდე დაიწყოს ზრუნვა პროფესიულ კარიერაზე, ჩაერთოს სტაჟირების პროგრამებში.</p> <p>ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს დასაქმდეს განათლების, ჯანდაცვის, მართვის, წარმოებისა და ბიზნესის, მოსახლეობის სოციალური დახმარების სფეროში და სხვ. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს კვლევითი ორგანიზაციები, საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრები; ტრენინგის ცენტრები; ბავშვთა და მოზრდილთა სტაციონარი; ბავშვთა და მოზრდილთა პოლიკლინიკა, ბავშვთა და მოზრდილთა სარეაბილიტაციო ცენტრები; ბავშვთა და მოზრდილთა საკონსულტაციო ცენტრები; სპეციალიზებული საბავშვო დაწესებულებები (საბავშვო ბაღი და სკოლა), სარეკლამო და PR ინდუსტრია, საკონსულტაციო დიაგნოსტიკური ცენტრები, კერძო პრაქტიკა და ა.შ.</p>
<p>სწავლის გაგრძელების საშუალება</p>	<p>ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს სამაგისტრო პროგრამაზე კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.</p>

<p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</p>	<p>ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების დაუფლება მოითხოვს სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას და ეფუძნება შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს.</p> <p>გავლილი სასწავლო კურსის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ათვისება შეფასებული იქნება 100-ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული მეთოდების წილისგან შედგება.</p> <p>შეფასების მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად არის მიღწეული სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგები. სტუდენტთა შეფასება არის მრავალკომპონენტური და უზრუნველყოფს კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. სტუდენტთა შეფასება ეფუძნება შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: ობიექტურობას, სანდოობას, ვალიდურობას, გამჭვირვალობას.</p>
--	--

სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასების მიზანია სტუდენტის მიღწევის ზუსტი შეფასება. იგი აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს სტუდენტის მიღწევის დონეს სასწავლო კურსით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით. განმავითარებელი შეფასება სტუდენტის განვითარებაზე მიმართულია. იგი აწვდის სტუდენტს მიღწევებთან დაკავშირებით უკუკავშირს.

შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა.ა) (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთათვისაც შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) საბოლოო შეფასებაში განსაზღვრულია ხვედრითი წილი და დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. კერძოდ, მაქსიმალური 100 ქულიდან შუალედური შეფასების ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასების - 30 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედურ შეფასებებში განსაზღვრულია შეფასების კომპონენტები - ჯამურად 70 ქულა.

შეფასების თითოეული კომპონენტისთვის, შეფასება ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებულ, ზუსტ, მკაფიო კრიტერიუმებს და მასზე დაყრდნობით შემუშავებულ შეფასების სქემებს/რუბრიკებს. სწავლების პირველი წლის სასწავლო კურსებში (გარდა B2 დონის ინგლისური ენის) შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 51%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება; სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 51%. სხვა დანარჩენ სასწავლო კურსებში სტუდენტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 59%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 60%.

სტუდენტი უფლებამოსილია გავიდეს დამატებით გამოცდაზე, თუ იგი ვერ გადალახავს დასკვნითი გამოცდის მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს აკადემიური კალენდრით დადგენილ პერიოდში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.

საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის ან შეფასების რომელიმე ფორმაში (შუალედური/დასკვნითი) მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ვერ გადალახვის შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება F-0 ქულა.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით სწავლება ითვალისწინებს მთელი რიგი მეთოდების გამოყენებას:

1. დისკუსია/დებატები – ინტერაქციური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი, რომელიც მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
2. წიგნზე მუშაობის მეთოდი
3. წერიტი მუშაობის მეთოდი
4. ლაბორატორიული მეთოდი და დემონსტრირების მეთოდი – ვიდეომასალების ჩვენება, დინამიკური ხასიათის მასალა და სხვ.
5. პრაქტიკული მეთოდები – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას.
6. პრეზენტაცია

პირობითობისა და კრიტიკული მიდგომის ერთობლიობით, პროგრამას გააჩნია შემოქმედებითი და კრიტიკული პოზიციების კოორდინირების სტატუსი. მომრავი გამოსახულებისა და მისგან წამოსული ინფორმაციის კომბინირების ხერხები და საშუალებები სწავლების ის ალტერნატივაა, რომელიც ასეთ კომბინაციას მსოფლიოში აპრობირებულ ტრადიციებსაც უახლოებს და სწავლების ნოვაციას ქმნის.

საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები

- კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი - 7 სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორი;
- პარტნიორი უმაღლესი სასწავლებლების პროფესორები;
- მოწვეული პროფესორები.

საბაკალავრო პროგრამის სხვა რესურსები

კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა თანამშრომლობს მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებლებთან, დადებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციასთან.

პარტნიორი უმაღლესი სასწავლებლების რესურსები: პაოლო ალტოს(კალიფორნია, აშშ) უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტი

არასამთავრობო ორგანიზაციები:

- ფსიქოლოგთა და ფსიქოთერაპევტთა ასოციაცია;
- კავკასიის გემტალტოთერაპიისა და ოჯახური ფსიქოთერაპიის ინსტიტუტი;
- საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოება;
- "პიარ-პოლისი";
- "ფსიქოპროექტი";
- "ახალგაზრდა ფსიქოლოგთა ასოციაცია".

სხვადასხვა ორგანიზაციები: პროგრამის პარტნიორ-ორგანიზაციებს წარმოადგენენ: თბილისი საჯარო და კერძო სკოლები. კავკასიის უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს თბილისის 34 საჯარო და კერძო სკოლასთან თანამშრომლობის მემორანდუმი;

კავკასიის უნივერსიტეტი თანამშრომლობს სამედიცინო კლინიკებთან: "წმინდა ანა და იოაკიმეს სახელობის საქართველოს საპატრიარქოს კლინიკასთან" და "დავით ტატიშვილის სამკურნალო კლინიკასთან".

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

- კავკასიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა;
- კავკასიის უნივერსიტეტის ელექტრონული ბიბლიოთეკები;
- 3 ლოკალური ქსელი და ინტერნეტი (უსადენო ინტერნეტით დაფარულია უნივერსიტეტის მთელი ტერიტორია)
- 3 კომპიუტერული ცენტრი (80 კომპიუტერი) და თითოეული სტუდენტებისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემული 150-მდე პერსონალური კომპიუტერი.
- სასწავლო აუდიტორიები.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფისათვის საჭირო ფულადი სახსრები გათვალისწინებულია კავკასიის უნივერსიტეტის ბიუჯეტით.

კურიკულუმი	<input checked="" type="checkbox"/> თან ერთვის <input type="checkbox"/> არ ერთვის
სილაბუსები	<input checked="" type="checkbox"/> თან ერთვის <input type="checkbox"/> არ ერთვის
აღწერა	<input checked="" type="checkbox"/> თან ერთვის <input type="checkbox"/> არ ერთვის

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა
(მოდულების, საგნების, შესაბამისი კრედიტების მითითებით)

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი	
				I		II		III		IV			
				E ECTS კრედიტი									
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი		
			ზოგადსაუნივერსიტეტო საგნები:	20	5								25
1.	HIST 0003	არ გააჩნია	საქართველოს ისტორია	5									
2.	CSC 1160✓	არ გააჩნია	საინფორმაციო ტექნოლოგიები✓	5									
3.	PHIL 1160	არ გააჩნია	თანამედროვე აზროვნების საფუძვლები	5									
4.	ACWR 1160	არ გააჩნია	აკადემიური წერა	5									
5.	ISOC 1260	არ გააჩნია	სოციოლოგიის შესავალი		5								
			მოდული - ინგლისური ენა	5	5	5	5						20
1.	ENGL 0005/ ENGL 0007	არ გააჩნია	B1.0 ზოგადი ინგლისური/ B2.0 ზოგადი ინგლისური	5									5
2.	ENGL 0006/ ENGL 0008	ENGL 0005/ ENGL 0007	B1 ზოგადი ინგლისური/ B2 ზოგადი ინგლისური		5								5
3.	ENGL 0007/ ENGL 0009	ENGL 0006/ ENGL 0008	B2.0 ზოგადი ინგლისური/ C 1.0 ზოგადი ინგლისური			5							5
4.	ENGL 0008/ ENGL 0010	ENGL 0007/ ENGL 0009	B2 ზოგადი ინგლისური/ C 1 ზოგადი ინგლისური				5						5
			მოდული – პროფესიული ინგლისური ენა					5	5				10
5.	ENGS 0160	ENGL 0008/	PT 1 პროფესიული სამიზნე ენა (სოციალური					5					5

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი	
				I		II		III		IV			
				E ECTS კრედიტი									
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი		
		ENGL 0010	მეცნიერებები										
6.	ENGS 0260	ENGS 0160	PT 2 პროფესიული სამიზნე ენა (სოციალური მეცნიერებები)						5				5
			მოდული - სპეციალობის სავალდებულო საგნები										
1.	PSYC 1160	არ გააჩნია	ფსიქოლოგიის საფუძვლები-1*	5									5
2.	PSYC 1260	PSYC 1160	ფსიქოლოგიის საფუძვლები-2*		5								5
3.	PSYC 1261	PSYC 1160	განვითარების ფსიქოლოგია*		5								5
4.	PSYC 1262	არ გააჩნია	სოციალური ფსიქოლოგია		5								5
5.	PSYC 1263	არ გააჩნია	ნეიროფიზიოლოგია		5								5
6.	PSYC 2160	PSYC 1263	ზოგადი პათოლოგიის საფუძვლები			5							5
7.	PSYC 2161	PSYC 1260	ფსიქოლოგიის ისტორია*			5							5
8.	PSYC 2162	PSYC 1260	ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები			5							5
9.	PSYC 2163	PSYC 1260; PSYC 1261	განათლების ფსიქოლოგია			5							5
10.	PSYC 2164	არ გააჩნია	საზოგადოებასთან ურთიერთობა			5							5
11.	PSYC 2260	PSYC 1260; PSYC 2161	ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმდინარეობები*				5						5
12.	PSYC 2261	PSYC 1260	პიროვნების ფსიქოლოგია				5						5
13.	PSYC 2262	PSYC 1260	პათოფსიქოლოგია				5						5
14.	SPSS 2260	არ გააჩნია	კვლევის მონაცემების დამუშავება (კომპიუტერული პროგრამა (SPSS-თ))				5						5
15.	PSYC 2263	PSYC 1260	ნეიროფსიქოლოგიის საფუძვლები				5						5
16.	PSYC 3160	PSYC 1260	კლინიკური ფსიქოლოგიის შესავალი					5					5
17.	PSYC 3161	PSYC 1260	ფსიქოთერაპიის საფუძვლები					5					5
18.	SPSS 3162	SPSS 2260	კვლევის მონაცემების დამუშავება მრავალგანზომილებიანი მეთოდებით (კომპიუტერული პროგრამა (SPSS-					5					5

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი	
				I		II		III		IV			
				E ECTS კრედიტი									
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი		
			თ)										
19.	PSYC 3260	PSYC 1260; PSYC 3160	პიროვნების ზრდისაკენ მიმართული ფსიქოლოგიური კონსულტირების საფუძვლები						5				5
20.	PSYC 3261	PSYC 1260	ფსიქოდიანგნოსტიკის საფუძვლები						5				5
21.	PSYC 3262	არ გააჩნია	სოციალურ-ფსიქოლოგიური ტრენინგის მართვის ტექნოლოგია						5				5
			მოდული - სპეციალობის არჩევითი (სავალდებულო) საგნები										
1.	EPSY 3160	არ გააჩნია	ეთნოფსიქოლოგია						5				5
2.	EPSY 3161	არ გააჩნია	კონფლიქტოლოგია						5				5
3.	EPSY 3162	არ გააჩნია	გენდერული ფსიქოლოგია						5				5
4.	EPSY 3163	არ გააჩნია	ხელოვნების ფსიქოლოგია						5				5
5.	EPSY 3164	არ გააჩნია	სპორტის ფსიქოლოგია						5				5
6.	EPSY 3260	არ გააჩნია	ფსიქოლინგვისტიკის საფუძვლები						5				5
7.	EPSY 3261	SPSS 2260	ფსიქომეტრიის საფუძვლები						5				5
8.	EPSY 3262	არ გააჩნია	ეკონომიკური ფსიქოლოგია						5				5
9.	EPSY 3263	PSYC 1260	განწყობის ფსიქოლოგია						5				5
10.	EPSY 3264	არ გააჩნია	პოლიტიკური PR						5				5
11.	EPSY 3265	PSYC 1260	იურიდიული ფსიქოლოგია						5				5
			მოდული - მეორე უცხო ენა (არჩევითი)										
12.	FREN/GERM/E SP 0001	არ გააჩნია	მეორე უცხო ენა A1.0						5				5
13.	FREN/GERM/E SP 0002	FREN/GERM/ES P 0001	მეორე უცხო ენა A1						5				5
14.	FREN/GERM/E SP 0003	FREN/GERM/ES P 0002	მეორე უცხო ენა A2.0							5			5

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი	
				I		II		III		IV			
				E ECTS კრედიტი									
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი		
15.	FREN/GERM/E SP 0004	FREN/GERM/ES P 0003	მეორე უცხო ენა A2									5	5
კონცენტრაციის მოდულები													
			მოდული - „კლინიკური ფსიქოლოგია“										
1.	CPSY 4160	PSYC 3160	ფსიქოსომატიკის საფუძვლები									5	5
2.	CPSY 4161	არ გააჩნია	კლინიკური ფსიქიატრიის საფუძვლები									5	5
3.	CPSY 4162	არ გააჩნია	სამედიცინო სექსოლოგიის საფუძვლები									5	5
4.	CPSY 4260	PSYC 3160; PSYC 1260	ეგზისტენციალური ფსიქოლოგია და ფსიქოთერაპია									5	5
5.	CPSY 4261	PSYC 3160; PSYC 1260	ფსიქოსინთეზი									5	5
6.	CPSY 4262	PSYC 3160; PSYC 1260	გემტალტერაპია									5	5
			მოდული - „ადამიანური რესურსების მართვა“										
1.	MPSY 4160	არ გააჩნია	ადამიანური რესურსების მართვის ფსიქოლოგია									5	5
2.	MPSY 4161	არ გააჩნია	ორგანიზაციული ფსიქოლოგია									5	5
3.	MPSY 4162	არ გააჩნია	პროექტის დაგეგმვა და მართვა									5	5
4.	MPSY 4260	არ გააჩნია	ბიზნესის ფსიქოლოგია									5	5
5.	MPSY 4261	არ გააჩნია	ლიდერობის ფსიქოლოგია**									5	5
6.	MPSY 4262	PSYC 3262	ტრენინგი ტრენერისათვის**									5	5
			მოდული - „გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია“										
1.	SPSY 4160	PSYC 1262	სოციალური გავლენა									5	5
2.	SPSY 4161	არ გააჩნია	რეკლამის ფსიქოლოგია									5	5
3.	SPSY 4162	PSYC 1262	პიროვნება და სოციალური ქცევა									5	5
4.	SPSY 4260	არ გააჩნია	პოლიტიკური ფსიქოლოგია									5	5

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი	
				I		II		III		IV			
				E ECTS კრედიტი									
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი		
5.	SPSY 4261	არ გააჩნია	ლიდერობის ფსიქოლოგია**									5	5
6.	SPSY 4262	PSYC 3262	ტრენინგი ტრენერისათვის**									5	5
7.	SPSY 4263	არ გააჩნია	გარემოს და დიზაინის ფსიქოლოგია									5	5
				სემესტრში		30	30	30	30	30	30	30	30
				წელიწადში		60		60		60		60	
						10		10		10		10	

შენიშვნები :

- ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტს სწავლების მეოთხე წელს (სწავლების მეოთხე ეტაპი) სთავაზობს არჩევითი საგნების სამ მოდულს: „კლინიკური ფსიქოლოგია“, „ადამიანური რესურსების მართვა“ და „გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია“. ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს შესაძლებლობა აქვს გაირღრმავოს ცოდნა საკუთარი ინტერესების შესაბამისად და კონცენტრაცია გააკეთოს არჩევითი მოდულებიდან მისთვის სასურველ მოდულზე/მოდულებზე.
- ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს სწავლების მეოთხე წელს პროგრამა აძლევს საშუალებას აირჩიოს და სწავლა განაგრძოს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლასა და სახელმწიფო მართვის სკოლაში მოქმედ ნებისმიერ Minor დამატებითი სპეციალობის პროგრამაზე, 60 ECTS კრედიტის ფარგლებში.
- წინამდებარე ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა იძლევა ფსიქოლოგიის Minor დამატებითი სპეციალობის მინიჭების საშუალებას უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სახელმწიფო მართვის სკოლების სხვა საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტისათვის, თუ ის გაივლის Minor დამატებითი სპეციალობით გათვალისწინებულ ოთხ სავალდებულო საბაზისო საგანს – 20 ECTS კრედიტი, აგრეთვე საგნებს ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით, მათ შორის ამ პროგრამის კონცენტრაციის სამივე მოდულით გათვალისწინებული, საგნებიდან – სემესტრში 20 ECTS კრედიტი და, შესაბამისად, წელიწადში 60 ECTS კრედიტი.
- «*»-ით ნიშანდებული საგნები სავალდებულოა როგორც ძირითადი (Major), ისე დამატებითი (Minor) სპეციალობის სტუდენტებისათვის.

- «**»-ით ნიშანდებული საგნები სავალდებულოა კონცენტრაციის ორი მოდულისათვის – „ადამიანური რესურსების მართვა ფსიქოლოგია“ და „გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია“.
- თავისუფალი კრედიტების (20 ECTS კრედიტის ფარგლებში) მოპოვების უფლება სტუდენტს აქვს სწავლების ბოლო, დამამთავრებელ ეტაპზე. ფსიქოლოგიის Minor დამატებითი სპეციალობის პროგრამაზე სხვა სკოლიდან ჩარიცხული სტუდენტისათვის კი თავისუფალი კრედიტებით სარგებლობის საშუალება იზღუდება.
- CSC 1160 საინფორმაციო ტექნოლოგიები (მითითებული სიმბოლო ✓) – შეცვალა GED 1160 კომპიუტერული უნარ-ჩვევები.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული დისციპლინებით ლექციების პარალელურად გათვალისწინებულია პრაქტიკული სამუშაო შესაბამისი პროფილის ორგანიზაციებში.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია სტუდენტური ელექტრონული ჟურნალის გაკეთება, რომელშიც დაიბეჭდება სტუდენტების სტატიები (რეფერატული ტიპის/კვლევის შედეგები).

